სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/26

ქ. თბილისი

26 თებერვალი 2021 წ.

სადისერტაციო ნაშრომების დაცვის ვადის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 თებერვლის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის შუამდგომლობა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებით 2020-2021 სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) სემესტრში გათვალისწინებული სადისერტაციო ნაშრომების დაცვა, რაც ვერ მოხერხდა ახალი კორონავირუსით (Covid 19) გამოწვეული პანდემიით შექმნილი შეზღუდვების გამო, ჩატარდეს 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის განმავლობაში;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**